N გ-24-03/1111
23/05/2024

1111-გ-24-03-2-202405231919

ფიზიკურ პირებს ირმა ჯანჯღავას და ბესარიონ ბოჭორიშვილს

შეტყობინება

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას (შემდგომში - კომისია) წარმოებაში აქვს ფიზიკური პირების ი. ჯანჯღავასა და ბ. ბოჭორიშვილის 2024 წლის 16 მაისის N შ-24-9/2377 საჩივარი შპს „ტელეკომპანია პირველის“ წინააღმდეგ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ მომჩივანების შუამდგომლობის საფუძველზე, ა/წ 23 მაისს დანიშნული მოსამზადებელი სხდომა გადაიდო და შპს „ტელეკომპანია პირველის“ წინააღმდეგ ი. ჯანჯღავასა და ბ. ბოჭორიშვილის საჩივრის განსახილველად მიღების თაობაზე საკითხის განხილვა კომისიაში გაიმართება 2024 წლის 30 მაისს, 15:00 საათზე.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, უფლება გაქვთ კომისიას წარუდგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

დამატებით გაცნობებთ, რომ კომისიის სხდომები იმართება დისტანციურ რეჟიმში. კომისიის სხდომაზე დისტანციურად დასწრების მიზნით, გამოგეგზავნებათ სპეციალური ბმული (ლინკი), კომისიისთვის ცნობილ და თქვენს მიერ დაფიქსირებულ ბოლო ელ. ფოსტის ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე. შესაბამისად, გთხოვთ, კომისიის ოფიციალურ ელ. ფოსტაზე (post@comcom.ge) მოგვაწოდოთ თქვენი საკონტაქტო მონაცემები (ელ.ფოსტა, მობილური ტელეფონის ნომერი), წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია იხელმძღვანელებს მის ხელთ არსებული ბოლო საკონტაქტო მონაცემებით, რომელზეც შეტყობინება ჩაითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად, ყველა თანმდევი სამართლებრივი შედეგით. ამასთანავე გაცნობებთ, რომ კომისიის შესაბამისი შეტყობინებები და გადაწყვეტილებები ამავდროულად გამოქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზეც (www.comcom.ge).

გთხოვთ, მიიღოთ მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში. ამასთან, გაცნობებთ, რომ კომისია უფლებამოსილია საკითხი განიხილოს სხდომაზე თქვენი დასწრების გარეშეც.

ირაკლი ბუთბაია

დეპარტამენტის უფროსი
იურიდიული დეპარტამენტი